დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24-25 თებერვალი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 16 მარტი, 2022 წ.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	447860119

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი, ხიჭაური
იურიდიული მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი, ხიჭაური
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი, ხიჭაური
საფოსტო ინდექსი	6300
დაწესებულების ვებ-გვერდი	Khandzteli.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	gkhandzteli@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	571488593; 599308445
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	სამონაზვნე ბარბარე /ციალა მეგრელაძე/
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599308445
ელ-ფოსტა	gkhandzteli@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 2 22 0000159828
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 თებერვალი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ცირა ნიკოლაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო ბალანჩივაძე Nino Digitally signed by Nino
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐

1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

	წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
	2.6. ე	*რეკომენდებულია სკოლამ სრულად უზრუნველყოს სკოლის N10 და N11 შენობების კიბის უჯრედების, მისაღებისა და გარე პერიმეტრის, აგრეთვე, N22-ე შენობის*

		(სპორტდარბაზი) შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა.
ქვესტანდარტი	*2.7.*	*რეკომენდებულია შინაგანაწესი დამტკიცდეს სკოლის წესდების შესაბამისად ორგანიზაციის დამფუძნებლის მიერ ან სკოლის წესდებაში შევიდეს ცვლილება აღნიშნულის შესახებ.*
	2.8.	*რეკომენდებულია განვითარების ექვსწლიან გეგმაში დაზუსტდეს თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის მკაფიო ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3.*	*რეკომენდებულია შინაგანაწესში გაიწეროს თანამშრომელთა დისციპლინური წარმოების წესი.* *რეკომენდებულია შინაგანაწესში აღდგეს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.*
	3.4.	*რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებაში სახელშეკრულებო ვადის ფორმულირება „სასწავლო წლის ბოლომდე“ დაზუსტდეს კონკრეტული ოპტიმალური თარიღის მითითებით, რათა შეფერხების გარეშე იყოს უზრუნველყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების ანალიზი, შეფასება და ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა.*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლაში (დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში) ფუნქციონირებს ფოლკლორისტთა წრე, ხეზე კვეთის წრე, დაზგური ქსოვისა და

	ქარგვის წრეები. სკოლაში გახსნილია ქარგვისა და ხეზე კვეთის მუზეუმი. გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეებში უძველესი თუშური, აჭარული და სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი ქარგვის ტექნიკის სწავლებასა და შენარჩუნებას. ფოლკლორისტთა წრეში გაწევრიანებული მოსწავლეები აჭარის სოფლებისათვის დამახასიათებელ ტოპონიმებს აგროვებენ/იწერენ.

დაწესებულების მისია	შექმნას კეთილგანწყობილი ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიყვარულის მომცველი გარემო პირობები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მომავალი თაობის აღზრდისათვის, რომელსაც შეეძლება თავისი ქვეყნის ინტერესების ტრადიციებისა და მომავლის წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრება. ხელი შეუწყოს რეფორმის მოთხოვნების დანერგვას სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის სასწავლო გეგმა დაწყებით და საბაზო საფეხურზე შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, კერძოდ, 2021-2022 სასწავლო წლის რეკომენდებულ გეგმასთან. მესამე საფეხურზე რჩება აქამდე მოქმედი გეგმა. ამასთანავე, მიმდინარეობს მუშაობა მომავალი წლიდან III საფეხურზე მესამე თაობის გეგმის დანერგვისათვის პირობების შექმნა. სასწავლო გეგემა ორიენტირებულია სკოლის მისიის მიღწევაზე: სასკოლო სასწავლო გეგმის შეჯერებული ვარიანტი განახლებულ და დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მასში წარმოდგენილია: I. მისია; II. სკოლის სასწავლო წლის კალენდარი; III. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა; IV. დღის რეჟიმი; V. საათობრივი ბადე; VI. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მომსახურება; VII. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურება; VIII. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; IX. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების წესი; X. სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოების გაცნობის წესი; XI. ინკლუზიური განათლება;

XII. სააღმზრდელო პროგრამა;

XIII. სადამრიგებლო პროგრამა;

XIV. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამა;

XV. საგნობრივი კათედრები.

სკოლაში სასწავლო კვირა 5 დღეა. სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს. I-VI კლასების გახანგრძლივებული მეცადინეობა იწყება გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილების ხანგრძლივობა 45 წუთია. (დასაშვებია გამონაკლისი ცვლილებები, ექსტრემალური ვითარების დროს). გაკვეთილებს შორის შესვენება 10-15 წუთი, ტრაპეზი 25 წუთი (5 გაკვეთილის შემდეგ მასწავლებლის მეთვალყურეობით).

I კლასში პირველ სემესტრში გაკვეთილის ხანგრძლივობა შემცირებულია.

დამატებითი მომსახურება დასაშვებია გაკვეთილების შემდეგ ურთიერთობის რეკომენდირებული უსაფრთხოების დაცვით. დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა არის შემდეგი:

კლასი	**I-III**	**IV-V**	**VI-VIII**	**IX**	**X-XII**
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	1 სთ.	1 სთ.	1.5 სთ.	1.5 სთ.	2 სთ.

ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა არის შემდეგი:

ა) I-IV კლასებში – 20 წუთი;

ბ) V-IX კლასებში – 30 წუთი;

გ) X-XII კლასებში – 40 წუთამდე.

3. რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება:

- ცეკვის წრე - I-IV კლასის მოსწავლეებისთვის
- ცეკვის წრე - უფროსკლასელებისთვის
- სიმღერის წრე -I-IV -კლასის მოსწავლეებისთვის

	• სიმღერის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • დაზგური ქსოვის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • ხეზე კვეთის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • ჭადრაკი - II-IV-კლასის მოსწავლეებისთვის • ფოლკლორის წრე - IX,X,XI-კლასის მოსწავლეებისთვის • კინომოყვარულთა წრე - VII-XII-კლასის მოსწავლეებისთვის • პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა IX კლასში 4 გაკვეთილი, XI კლასში 4 გაკვეთილი. სკოლამ წარმოდგინა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების პროგრამა: **ცეკვის წრე** : მუშაობს ორი წრე - უფროსკლასელებისა და I-IV კლასის მოსწავლეებისათვის. წრეში სწავლობენ ქართულ ხალხურ ცეკვებს. ქორეოგრაფიული ჯგუფი მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებში. ადგილობრივ ფესტივალში ორი წლის წინ პირველი ადგილი მოიპოვა. ცეკვის წრისათვის გამოყოფილია სამუშაო ადგილი სათანადო ფართობით. **სიმღერის წრე**: ამ შემთხვევაშიც განსაზღვრულია ორი წრე როგორც I-IV კლასებისათვის, ისე IX კლასის მოსწავლეებისათვის. სიმღერის წრეში სწავლობენ საბავშვო, ხალხურ, კლასიკურ, სიმღერებს, საგალობლებს.წრის მოსწავლეები ჩართული არიან საკლასო და სასკოლო ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ მოსწვალეებთან ერთად მღერიან მასწავლებელბიც, იგეგმება მშობელთა ჩართვაც,. წრისთვის გამოყოფილია სამუშაო ადგილი, პიანინო , სიმღერის წრეს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. **დაზგური ქარგვის წრეში** გაერთიანებული არიან V-IX კლასის გოგონები. წრეში ისწავლება უძველესი თუშური, აჭარული და სხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ხალხური ქარგვა. მოსწავლეთა ნაქარგები შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ მრავალგზის იყო წარდგენილი სხვადასხვა გამოფენაზე. ნამუშევართა რამდენიმე ნიმუში ინახება სკოლის მუზეუმში, მუშაობისთვის გამოყოფილია ორი ოთახი, მოქმედი საქსოვი დაზგით. დაზგური ქარგვის წრეს უძღვება გამოცდილი სპეციალისტი. **ხეზე კვეთის წრე** წრეში ისწავლება ხეზე კვეთის სპეციფიკური უნარები. მოსწავლეები ეუფლებიან ხეზე ორნამენტებისა და სხვა გამოსახულებების კვეთას. მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გამოფენაზე.

	ინახება სკოლის მუზეუმში. ხეზე კვეთისთვის გამოყოფილია სამუშაო ადგილი სათანადო ინვენტარითა და რესურსებით. ხეზე კვეთის წრეს ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება. **ჭადრაკის წრე** მუშაობს კვირაში ორი საათს. დამატებითი მომსახურების მიზანია ჭადრაკის თამაშის წესების სწავლება, რაც ხელს უწყობს ფიქრისა და აზროვნების განვითარებას. წრე უზრუნველყოფილია ჭადრაკის სათანადო საგანმანათლებლო რესურსით: **ფოლკლორისტთა წრეში** გაერთიანებული არიან IX, X, XI კლასის მოსწავლეები. წრის მიზანია აჭარის სოფლებისათვის დამახასიათებელი ტოპონიმების შეგროვება, შენახვა, დაცვა. წრე დაარსდა მიმდინარე სასწავლო წელს, უძღვება სკოლის უფროსი მასწავლებელი, ენათმეცნიერების დოქტორანტი. **კინომოყვარულთა წრე** შეიქმნა VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის. წრის მიზანია: ა) ქართული ფილმების ნახვა, განხილვა, ბ) მოსწავლეთა მიერ ვიდეო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება. კინომოყვარულთა წრეს უძღვებიან IT მენეჯერი და მენტორი მასწავლებელი . **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები** წარიმართება მოსწავლეების მიერ სწორ არჩევანში დახმარები ხელშეწყობის მიზნით (დაგეგმილია 4+4 საათი II სემესტრში). კვირაში ორი დღე ეთმობა ქართულ ხალხურ ცეკვასა და ქართულ გალობას, ორი დღე - ხის მხატვრული დამუშავებასა და თექაზე მუშაობას. ხოლო კვირაში 4 დღე - მოსწავლეებისათვის ტარდება დამატებით გაკვეთილები, რაც, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეული მათგანის შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზებას უწყობს ხელს. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას, რაც მისიის განხორციელების საწინდარია. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას: **გახანგრძლივებული დღის ჯგუფები** I-VI კლასებისთვის გაიხსნა მშობელთა თხოვნით, მიზანი არის დასაქმებულ მშობელთა ხელშეწყობა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მუშაობის დამთავრების საათი ემთხვევა ახლო მდებარე ბაგა-ბაღის მუშაობის საათს 17:30 და 18 საათი, რაც მშობლებისთვის მოსახერხებელია. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის რეჟიმი

	მოიცავს დასვენების (თამაშისა და გართობის) საათს, საშინაო დავალების მომზადებას, კვირაში ერთხელ შემეცნებით-გასართობ ღონისძიებას. გახანგრძლივებული დღის ჯგუფისათვის დაგეგმილია სამჯერადი უფასო კვება დაგეგმილია (საუზმე, სადილი, სამხარი) გახანგრძლივებულ დღის ჯგუფში მუშაობენ უფროსი მასწავლებლები, ერთი კი მოწვეული პედაგოგი. **ლოგიკის** სწავლების მიზანია VIII –XI კლასის მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა. სწავლას წარმართავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი. **დამატებითი მეცადინეობები** სასწავლო საგნებში (IX-XI კლასები) დაიგეგმა მშობელთა თხოვნით. მისი მიზანია ეროვნული გამოცდებისათვის მოსწავლეთა მომზადების ხარისხის ამაღლება. სკოლა სიამაყით აღნიშნავს, რომ გასული 2020-2021 სასწავლო წლის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა მხოლოდ სასკოლო მომზადების წყალობით მოიპოვა სასწავლო გრანტი. დამატებითი მეცადინეობები მიმდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება პერსონალური კონსულტაციები. მეცადინეობის დრო განისაზღვრება მოსწავლისა და მასწავლებლის შეთანხმებით. მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო ნაწილის გამგე. უნდა აღინიშოს, რომ დამატებითი საგნობრივი მომსახურება ხორციელდება წამყვანი და უფროსი მასწავლებლების ინიციატივით ანაზღაურების გარეშე. რაც შეეხება **IX- XI კლასებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარებას, ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებელი პირები წამყვანი მასწავლებლები არიან.** დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მულტიდისციპლინური გუნდის სამუშაო გეგმა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, თანატოლებთან ერთად ჩაერთონ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში. ყურადსაღებია ისიც, რომ სკოლაში მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ბავშვები ერთ გარემოში თანაცხოვრებით სწავლობენ ტოლერანტობას, რაც ხელს უწყობს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი და ტრადიციული ღირებულებისადმი საკუთარი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

	დაწესებულების სასწავლო გეგმის შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პედსაბჭოს სხდომის ოქმი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების დამტკიცების შესახებ; • პედსაბჭოს სხდომის ოქმი 2021 წლის პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ (ოქმი № 4) • საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი: • 2020-2021 სასწავლო წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში ამჟამად ფუნქციონირებს 6 კათედრა, რომლებიც აერთიანებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით საგნებსა და ამ საგნების ყველა პედაგოგს: 1. დაწყებითი კლასების საგნობრივი კათედრა; 2. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კათედრა; 3. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. უცხო ენის კათედრა; 5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 6. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა საგნობრივი კათედრები აწარმოებენ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს კათედრის სამუშაო აღწერილობას. ამასთანავე - არჩეულ და კათედრაზე დამტკიცებულ გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხას, შემაჯამებელი დავალებების განრიგს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, შეფასების რუბრიკებს, სახვადასხვა გაკვეთილის გეგმებს, გაკვეთილზე დაკვირვების სქემას, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის

	შედეგად სუსტი მხარეების დაძლევის ღონისძიებებს, პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისა და კონსულტირების მექანიზმებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული მასწავლებელი თავისი პროფესიული საქმიანობის წარმოსაჩენად აწარმოებს პორტფოლიოს, რომელშიც ნათლად წარმოჩინდება საგნის პედაგოგთა ძლიერი და სუსტი მხარეები. საათობრივი ბადე, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლეები ეუფლებიან **ფეხბურთს, კალათბურთსა და ფრენბურთს.** მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილია ყველა საგნის სასწავლო გეგმა, საგნობრივი სასწავლო პროგრამები ერთიანი ფორმით შედგენილია. ექსპერტთა მიერ შესწავლილმა და შინაარსობრივად გაანალიზებულმა თემატურ-კალენდარულმა გეგმებმა, დაადასტურა მათი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრული შესაბამისობა. ამასთანავე, დაწესებულებამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება: • ცეკვის წრე - I-IV კლასის მოსწავლეებისთვის • ცეკვის წრე - უფროსკლასელებისთვის • სიმღერის წრე -I-IV -კლასის მოსწავლეებისთვის • სიმღერის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • დაზგური ქსოვის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • ხეზე კვეთის წრე - V-IX-კლასის მოსწავლეებისთვის • ჭადრაკი - II-IV-კლასის მოსწავლეებისთვის • ფოლკლორის წრე - IX,X,XI-კლასის მოსწავლეებისთვის • კინომოყვარულთა წრე - VII-XII-კლასის მოსწავლეებისთვის • პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა IX კლასში 4 გაკვეთილი, XI კლასში 4 გაკვეთილი. **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით განსაზღვრულია**

	• გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა I-VI კლასებისთვის. ჯგუფები გახსნილია დასაქმებული მშობლების მხარდაჭერის მიზნით. ყველა სახის მომსახურება, მათ შორის კვება არის უფასო. • ლოგიკა VIII – 1 სთ, IX – 1 სთ, X- 1 სთ, XI -1 სთ. მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების მიზნით. • დამატებითი მეცადინეობა ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა ინგლისურსა და ისტორიაში, ეროვნული გამოცდების მომზადების ხარისხის ამაღლებისთვის (რეპეტიტორების გარეშე).დამატებითი მეცადინეობები დაიგეგმა მშობელთა თხოვნით. ექსპერტთა მიერ დათვალიერებული და განხილულ იქნა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში პირველ სემესტრში სხვადასხვა კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები, შეფასების პრინციპები და პრობლემების დაძლევის მექანიზმები. უნდა აღინიშნოს, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზით განსაზღვრული რეკომენდაციებითა და კომენტარებით საგნის მასწავლებლებს ცვლილებების დაგეგმვისა და მიზნის მიღწევის უკეთესი საშუალება მიეცათ. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სწავლების მესამე საფეხურზე დაინერგა შემაჯამებელი დავალებების პრეზენტაციით, ზეპირი და წერილობითი მოხსენებების ფორმით შესრულება, რამაც მოსწავლეებში დავალების დამოუკიდებლად შესრულების მოტივაცია გაზარდა. მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებების გამოყენების მცდელობის პირველ შედეგებზე. ინგლისურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკისა და ქიმიის პედაგოგებმა ერთმანეთს გაუზიარეს შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები და იმსჯელეს რამდენად ეფექტური იყო კომპლექსური დავალებების შედეგები. აღნიშნეს, რომ მზად არიან გამოწვევებს გაუმკლავდნენ ურთიერთთანამშრომლობითა და სასწავლო ტრენინგების მოსმენით.

	სკოლაში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის ანალიზის განხილვამ სასკოლო კულტურის ახალ მიმართულების -„დახმარება და მხარდაჭერა განვითარებისთვის“ - განხორციელებას შეუწყო ხელი. ხარვეზებისა და სუსტი მხარეების დასაძლევად ერთმანეთს შესთავაზეს გამოცდილების გაზიარება- ერთობლივად განესაზღვრათ შემდგომი მუშაობის პრინციპები. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • სადამრიგებლო პროგრამა; • სკოლის შინაგანაწესი; • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი; • ინტერვიურება; • შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები; • კათედრების ანგარიშები; • პროფესიული განვითარების პროგრამა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლაში სსსმ მოსწავლე არ არის, მაგრამ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ საჭიროების შემთხვევაში მზაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ი.ს.გ) შემუშავებისა და განხორციელებისთვის. სკოლაში ჩატარდა ინფორმაციულ-მეთოდური სემინარები სხვადასხვა თემაზე: • ალტერნატიული სასწავლო გეგმა (2019-ცვლილება 2021) • სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო გარემოს შექმნის პრობლემა;

	• სსმ პირთა განათლებასთან დაკავშირებით უცხოეთის ქვეყნის გამოცდილება; • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლებისადმი მოთხოვნები (ახალი მიდგომები) • სსსმ მოსწავლის საჭიროებებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამოქმედო დოკუმენტაციის წარმოება; • კვლევები და რეკომენდაციები სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში (ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში; • სსსმ ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა; • ინდივიდუალური განრიგის შედგენა აკომოდაციების აკადემიური და კოგნიტური უნარების ცხრილი, შინ სწავლების ორგანიზება; • სსსმ მოსწავლის აქტივობები (I-IV ნაწილი); სემინარების შემდეგ გაიმართა დიალოგი, თვითშეფასება. აღინიშნა, რომ სემინარებმა ხელი შეუწყო ახალი მოთხოვნების გაცნობიერებას, საჭიროების შემთხვევაში პრობლემებზე გამკლავებისთვის მზაობას, ამასთან წარმოაჩინა სურვილები, რომ სსსმ მოსწავლეებმა მუშაობა საგნის მასწავლებლებს დასჭირდებათ სპეციალური ტრენინგის გავლა, რათა ხარისხიანად შეძლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოსწავლეზე მორგებულად შემუშავება და განხორციელება. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვა, მულტიდისციპლინური გუნდის ინფორმირების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებისა და ამგვარი მოსწავლის სტატუსის მოხსნისა და სტატუსის ხელახლა მინიჭების წესი. მართალია, ამჟამად სკოლას განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე არ ჰყავს, მაგრამ ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სკოლა მზადაა განახორციელოს შესაბამისი სწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიურება; • სასკოლო სასწავლო გეგმა;

	• სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი; • შენობის დათვალიერება; • დირექტორის ბრძანება ინდივიდუალური ასწავლო გეგმის შედგენისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი „ინდივიდუალური სასწავო გეგმის ჯგუფის“ შექმნის შესახებ; • სკოლის ვებგვერდი: https://khandzteli.ge/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ცნობილია სკოლის საზოგადოებისათვის. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ერთი მხრივ, ფასდება მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და, მეორე მხრივ, თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა. განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოყენებულია შეფასების 10 ქულიანი სისტემა, განმავითარებელი შეფასებისათვის კი - მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები, თვითშეფასება და სხვა. სპორტში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ გამოიანგარიშება წლიური/ საფეხურის ქულის გამოთვლისას. სკოლაში განსაზღვრულია და დადგენილი სასწავლო წლის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის

	შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ამასთანავე - მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისაკენ. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • შემაჯამებელი დავალების ანალიზი: • შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები; • კლასის დამრიგებელთა ანგარიშები პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ; • კომპლექსური დავალებები; • თემატური მატრიცები; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობლები მონაწილეობენ სააღმზრდელო საქმიანობაში, რაც გამოიხატება როგორც საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობით, ისე კლასგარეშე და სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობით. უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივ და შემოქმედებით წრეებში სადამრიგებლო საქმიანობის განხორციელება მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის I კარის მუხლი 20-ის მიხედვით, რომლის საფუძველზეც შედგენილია სადამრიგებლო და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა

	ჩართულობის პროგრამები, მასში განსაზღვრულია ე.ს.გ გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზები და საშუალებები. სადამრიგებლო პროგრამის შედგენამდე სკოლის ადმინისტრაციამ ჩაატარდა კლასის დამრიგებელთა შეხვედრები, როდესაც განხილული და გაანალიზებული იქნა წინა წლებში მიღებული გამოცდილება თუ გამოწვევები. პედაგოგებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ ყოველდღიურ აუცილებელ საქმიანობასთან ერთად შეუფერხებლად ტარდება სადამრიგებლო საათი როგორც საკლასო ოთახებში, ისე დისტანციური სწავლების პირობებში. უპირველესი საზრუნავი სკოლისათვის გახდა როგორც ცვლილებად სასწავლო გარემოსთან შეგუება, ისე უსაფრთხოების დაცვა. ამ მიმართულებით კვლევებიც არის ჩატარებული. გაზრდილია მასწავლებლისადმი ნდობა და სიყვარული, რასაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებაში შემოქმედებითი მუშაობის გარემო. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოებისათვის გაცნობის წესი: • სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის განხილვა საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე , რომელშიც ჩართული არიან მშობლები, კურსდამთავრებულები; • შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით საბოლოო ვარიანტის განხილვა; • სასკოლო სასწავლო გეგმის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილვა და დამტკიცება. • სასკოლო სასწავლო გეგმის განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლების ინფორმირების წესი; • სადამრიგებლო პროგრამი; • კლასების დამრიგებელთა სამოქმედო გეგმა; • კლასის დამრიგებელთა ანგარიშები; • კლასის დამრიგებელთა რეფლექსიები; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიურება;

	• სკოლის ვებგვერდით https://khandzteli.ge/ge/home
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საორიენტაციო სქემა არის შემდეგი: თვითშეფასება-დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება გადახედვა. შემუშავებულია ხარისხის მართვის პროგრამა. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, მოსწავლეთა მხარდაჭერის, სწავლებას საკლასო ოთახებში, ონლაინ პლატფორმაზე, შეფასების სისტემას, საკლასო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვას, სააღმზრდელო საქმიანობას, კლასგარეშე საქმიანობას. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ჩამოყალიბებულია ხარისხის კულტურის განვითარების საკითხები. პროგრამა ითვალისწინებს დაგეგმვას მიღწეული შედეგების გათვალისწინებით. ამ მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარი, თვითშეფასების შედგენისათვის საორიენტაციო კითხვარი, რეფლექსიის შედგენილი კითხვარი, კომპლექსური დავალების თვითშეფასების კითხვარი და სხვა. სკოლაში ანგარიშების სისტემა ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ფორმით, რომელშიც განსაზღვრულია ვინ-ვის და რა პერიოდულობით აწვდის ინფორმაციას, რა ფორმატით, რა მოცულობითაა ინფორმაცია წარმოსადგენი და ა.შ. შემუშავებულია სასწავლო გეგმის შეფასების მეთოდოლოგია, ჩამოყალიბებულია შეფასების პრინციპები, განსაზღვრულია პერიოდულობა, შეფასების საგანი, შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს სასწავლო გეგმის შეფასების გამჭვირვალობას. ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიმართული ღონისძიებები ეფუძნება არსებული მდგომარეობის თვითშეფასების ანგარიშების რეფლექსიების ანალიზს. ხარისხის განვითარების კორდინატორი თვითონ ან სხვების ჩართულობით აკეთებს თვითშეფასებებს, ანგარიშებს, ანალიზს, რომელიც გამოყენებულია სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებისათვის

	ყოველივე ეს კი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და მის შემდგომ დახვეწას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის მართვის პროგრამა; • სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფისათვის მენტორი მასწავლებლის შეთავაზება; • პროექტული სწავლების განვითარებისათვის კოლეგების ხედვა; • ინტერვიურება; • თვითშეფასების, ანგარიშების, ანალიზის ფორმები; • სასწავლო გეგმის შეფასების მეთოდოლოგია; • კომპლექსური დავალების თვითშეფასების კითხვარი; • მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარი; • თვითშეფასების შედგენისათვის საორენტაციო კითხვარი; რეფლექსიის შედგენილი კითხვარი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 2543,2 კვ.მ.
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური). აღნიშნულ მისამართზე, ათწლიანი თხოვების ხელშეკრულების (16.02.2022) საფუძველზე, სკოლა ფლობს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ სამ შენობა-ნაგებობას საერთო ფართით 2543,2 კვ.მ. (შენობა N10 - 913 კვ.მ., შენობა N11 – 1042,2 კვ.მ., შენობა N22 – 588 კვ.მ.). შენობა N10 განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის, ხოლო შენობა N11 - დაწყებითი საფეხურის კლასებისათვის. N22-ე შენობაში არის სპორტდარბაზი. სკოლის შენობები განთავსებულია გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში თხოვების უფლების წარმოშობის შესახებ ინფორმაცია არ დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით. სკოლამ მიმართა საჯარო რეესტრს თხოვების უფლების წარმოშობის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის მოთხოვნით. სკოლის მიერ წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის მიღების ბარათი, რომლის თანახმად **ნაცვლად სკოლისა** მოთხოვნილია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ თხოვების უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ქონების მისამართი - რაიონი შუახევი, სოფელ ტაკიძეები (ხიჭაური). (ზონა: შუახევი, სექტორი ჭვანა, ს.კ. 24.07.03.385). (დანართი 1.)
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	ს.კ. : 24.07.03.385
კვ.მ.	2543,2 კვ.მ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები	• სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას შორის დადებული თხოვების ხელშეკრულება, 16/02/2022 წ. • დანართი 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, განცხადების მიღების ბარათი • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა, თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე, 10 წლის ვადით, ფლობს 300 ორადგილიან მერხს, 400 სკამს და სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელ მატერიალური საშუალებებს (დაფები, მაგიდები, კარადები). დაწესებულების საკუთრებაში არსებული მერხებისა და სკამების რაოდენობა, აგრეთვე, საკლასო ოთახების რაოდენობა და ფართობი, შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ ოდენობას (250 მოსწავლე). სკოლა, ორივე შენობაში, ჯამში ფლობს 30 საკლასო ოთახს. ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 95 მოსწავლე, ფუნქციონირებდა 12 კლასი. სკოლაში არის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლოები, ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა, ქსოვისა და ხეზე კვეთის მუზეუმი, მშობლებთან შეხვედრებისთვის განკუთვნილი ოთახი, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, ლიდერ მოსწავლეთა ოთახი, არქივის ოთახი, სადეზინფექციო საშუალებებისათვის განკუთვნილი ოთახი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სახელობის სკოლასა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

	წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თხოვების ხელშეკრულებით; 16/02/2022 წ. • საკადასტრო გეგმა, • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპორტული დარბაზი განთავსებულია შენობა N22-ში. სპორტული დარბაზი კეთილმოწყობილია. აღჭურვილია ფრენბურთის, კალათბურთისა და მაგიდის ჩოგბურთისთვის საჭირო რესურსებით. შენობაში არის ორი გასახდელი სველი წერტილებით; ასევე, ოთახი სპორტული ინვენტარისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება, • შესყიდვის დოკუმენტაცია, • თხოვების ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ფლობს შესაბამის ინვენტარს. ოთახში არის ონკანი-ნიჟარა და დიდი ზომის ფანჯარა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება, • შესყიდვის დოკუმენტაცია,
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. წყალმომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების (უფასო) სისტემის მეშვეობით.

	გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროგამათბობლების საშუალებით. (მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირით მომარაგების შესაძლებლობა არ არის). ორივე სასწავლო კორპუსის თითოეულ სართულზე, აგრეთვე, სპორტული დარბაზის შენობაში განთავსებულია სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები, • ვიზუალური დათვალიერება, • დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკაში საინვენტარო წიგნის მიხედვით, არის 535 ერთეული წიგნი, 1 კომპიუტერი. გარდა სკოლის შენობაში არსებული ბიბლიოთეკისა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, სკოლა სარგებლობს ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით; გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია სამკითხველო დარბაზში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, • შრომითი ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან, • დირექციასთან გასაუბრება, • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე შენობა აღჭურვილია მოძრავი პანდუსებით. სკოლაში არის ადაპტირებული ორი სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე სკოლა ფლობს 33 კომპიუტერს. ინტერნეტით უზრუნველყოფილი 25 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კომპიუტერებით აღჭურვილია ბიბლიოთეკა, დირექციისა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები. სკოლა ფლობს პროექტორსა და პრინტერის აპარატებს. სკოლის ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები, • ვებ-გვერდი https://khandzteli.ge/ • თხოვების ხელშეკრულება, • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ფლობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ინვენტარს. შენობებში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, განთავსებულია ცეცხლმაქრები. ცეცხლმაქრები დამუხტულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება, • ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობებში, ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექთანი. სამედიცინო კაბინეტი მდებარეობს უნივერსიტეტის ერთ-ერთ შენობაში. ექთანი აწარმოებს მიმართვიანობის აღრიცხვას შესაბამის წიგნში. კაბინეტი აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულება ექთანთან, • მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია, • ვიზუალური დათვალიერება, • ექთანთან და დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება N06/ნ, 29.01.2019) დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით.“ დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი 2 პირი (დირექტორის მოადგილე და დარაჯი), რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანება უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ, • ბრძანება უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა უზრუნველყოფილია უსაფრთხოების კამერებით. N10 და N11 შენობების შესასვლელის კონტროლს უზრუნველყოფს 3 გარე ხედვის კამერა. სკოლის ორივე შენობის თითოეულ სართულზე განთავსებულია 2- 2 შიდა ხედვის კამერა; ჯამში სკოლის N10 და N11 შენობები უზრუნველყოფილია 8 შიდა ხედვის კამერით. კამერების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოყოფილია მეთვალყურე პირი (IT მენეჯერი) და 1 კომპიუტერი. N10 და N11 შენობების გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება მხოლოდ სკოლის შესასვლელებში - შენობის წინა მხარეს. გარე პერიმეტრის - შენობების გვერდებისა და უკანა მხარის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლისათვის არ არის დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ N10 და N11 შენობებში ფოიე და კიბის უჯრედები არ კონტროლდება უსაფრთხოების კამერებით. უსაფრთხოების კამერებით გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლი არ არის უზრუნველყოფილი N22-ე შენობაში, რომელშიც განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ეზო, რომელიც შემოსაზღვრული და დაცულია გალავნით, კონტროლდება სკოლის დარაჯისა და სკოლის პედაგოგების მიერ. ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვამდე სკოლის ტერიტორიის არადისტანციურ დათვალიერებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ორი უფლებამოსილი პირი. კერძოდ, დირექტორის მოადგილე და დარაჯი არიან პასუხისმგებელნი სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. **რეკომენდებულია სკოლამ სრულად უზრუნველყოს სკოლის N10 და N11 შენობების კიბის უჯრედების, მისაღებისა და გარე პერიმეტრის, აგრეთვე, N22-ე შენობის (სპორტდარბაზი) შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანება უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ, • კამერების ფლობის დოკუმენტაცია, • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. სკოლის წესდების თანახმად, სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება არის ორგანიზაციის დამფუძნებლის კომპეტენცია, ხოლო წარმოდგენილი შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. **რეკომენდებულია შინაგანაწესი დამტკიცდეს სკოლის წესდების შესაბამისად ორგანიზაციის დამფუძნებლის მიერ ან სკოლის წესდებაში შევიდეს ცვლილება აღნიშნულის შესახებ.** ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: სამუშაო დრო და დასვენების დრო, სასწავლო გარემო, სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, დისციპლინური გადაცდომები და პასუხისმგებლობის სახები, წახალისების ფორმები, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, მოსწავლისა და მშობლის უფლებები და ვალდებულებები, მასწავლებლის ვალდებულებები, სკოლის დირექტორის, მოადგილეების, ადმინისტრატორის, ბუღალტერის, საქმისმწარმოებლის, პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება, დამტკიცებული 11/01/2011 • შინაგანაწესი, დამტკიცებული 24/02/2022 • საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული 11/01/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან. 2021-2027 წლის სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტული მიმართულება - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, სასკოლო გეგმების თავსებადობის უზრუნველყოფა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სტრატეგიულ გეგმაში, ძირითად მიმართულებებში, განსაზღვრულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები: 1. სკოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის სისტემის სრულყოფა, სამართლებრივი და მოქალაქეობრივი აღზრდის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება; 3. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების განვითარება და კომპიუტერიზაცია; 4. სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა; 5. უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინებული გარემოს შექმნა; 6. მოსწავლეთა რაოდენობის ეტაპობრივად ზრდა. მიზნებს ახლავს ინდიკატორები. თუმცა დოკუმენტში არ არის მითითებული მიზნის მისაღწევი შესაბამისი ამოცანები, ამოცანების განხორციელების ვადები. ზოგიერთ შემთხვევაში მიზნის მიღწევის ინდიკატორი არ არის კონკრეტულად/მკაფიოდ ფორმულირებული, არ არის განსაზღვრული განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული გეგმის ბოლოს დაკონკრეტებულია მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა. მაგალითისთვის, 2021-2027 წლის სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთი მიზანია „უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინებული გარემოს შექმნა.“ მიზნის მიღწევის ინდიკარტორები ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობა (გათბობის გაუმჯობესება, წყლით მომარაგება, მიმდინარე რემონტი), სასწავლო დროში უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის მოქმედების ეფექტურობის მაჩვენებელი, სიტუაციები, საჭიროება, შედეგები.“ გეგმაში არ არის მკაფიოდ

	მოცემული რა ვადებში წამოუდგენია სკოლას აღნიშნული მიზნის მიღწევა ექვსწლიან პერიოდში და რომელი კონკრეტული, მკაფიო ინდიკატორი/ინდიკატორები იქნება მიზნის მიღწევის მტკიცებულება. **რეკომენდებულია განვითარების ექვსწლიან გეგმაში დაზუსტდეს თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის მკაფიო ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები.** 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული მიზნები, განხორციელების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები. ბოლოს კი გეგმის შესრულების სამი ინდიკატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• განვითარების ექვსწლიანი გეგმით, 2021-2027; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, 2021-2022.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წარმოებს საკადრო ბრძანებების ჟურნალი, საერთო ბრძანებების ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი, • გამოცემული აქტებით, • ბრძანებების ჟურნალით, • შესული და გასული კორესპონდენციის ჟურნალებით, • რეგისტრაციის ჟურნალით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე კულტურისა და ხელოვნების დარგში, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო და საკონფერენციო მუშაობის დარგში, სასწავლო ნაწილის გამგე, ბუღალტერი, ადმინისტრატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი, დარაჯი, ექთანი, 3 დამლაგებელი, 32 მასწავლებელი, წრის ხელმძღვანელი 3 პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი, • შრომითი ხელშეკრულებები, • დასაქმებულთა პირადი საქმეები, • ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	32
მოწვეული/მაძიებელი	6
პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	16
წამყვანი მასწავლებლი	9
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული 32 პედაგოგი შერჩეულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 6 პედაგოგთან დადებულია მოწვეული მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, • შრომითი ხელშეკრულებები, • მასწავლებელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულთა წახალისების ფორმებს, დისციპლინურ გადაცდომებსა და სახდელის სახეებს. წახალისებისა და სანქციების სისტემა გამჭვირვალეა; შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა მიმართ კონკრეტული დისციპლინური სახდელებისა თუ წახალისების ფორმების გამოყენება რომელ შემთხვევებში მოხდება. **რეკომენდებულია შინაგანაწესში გაიწეროს თანამშრომელთა დისციპლინური წარმოების წესი.** თვითშეფასების კითხვარს თანდართული ჰქონდა შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრული იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა აღნიშნული წესის არსებობა. ტექნიკური უზუსტობების შესწორების მიზნით ვიზიტის დასრულებისას დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შინაგანაწესის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული წესი აღარ ფიქსირდებოდა. **რეკომენდებულია შინაგანაწესში აღდგეს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი - 24/02/2022.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები არის დანომრილი და აღრიცხული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურების პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სახელშეკრულებო ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტა, მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სასწავლო წლის ბოლომდე; სკოლაში მიმდინარე პროცესების სპეციფიკიდან გამომდინარე მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა სამუშაო პროცესი არ სრულდება სასწავლო წლის ბოლო დღეს (15 ივნისი). **რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებაში სახელშეკრულებო ვადის ფორმულირება „სასწავლო წლის ბოლომდე“ დაზუსტდეს კონკრეტული ოპტიმალური თარიღის მითითებით, რათა შეფერხების გარეშე იყოს უზრუნველყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების ანალიზი, შეფასება და ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები, • შინაგანაწესი, • რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომლის მიხედვით თანამშრომელთა პროფესიულ განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე სამეცნიერო და საკონფერენციო მუშაობის დარგში; მას ევალება დამხმარე მეთოდური ლიტერატურის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სკოლის გარეთ და შიდა სასკოლო

	კონფერენციებსა და სემინარებში პედაგოგთა მონაწილეობის ხელშეწყობა, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ხელშეწყობა და სხვ. სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილია მასწავლებელთა პროფესიული ლიტერატურის კუთხე. სამკითხველოში ხელმისაწვდომია მასწავლებელთა ნაშრომები, სტატიები. პედაგოგები პროფესიული განვითარებისათვის წარმატებით იყენებენ ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიას. სკოლის პედაგოგები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, • შინაგანაწესი, • გასაუბრება, • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლაში მუშაობს ლიდერ მოსწავლეთა კლუბი. ეს არის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანო. მოსწავლეები ჩართულნი არიან ჯგუფის მუშაობაში, ავლენენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების ინიციატივას. მასწავლებელთა და დირექციის მხარდაჭერით ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. სკოლაში პერიოდულად ეწყობა მრავალფეროვანი შემეცნებითი ღონისძიებები, პროექტები, კონფერენციები. ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატიკის წრეები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება. მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოსა და გაზიარებული ღირებულებების არსებობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება მასწავლებლებთან,

	• გასაუბრება მოსწავლეებთან, • გასაუბრება მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. დანართი 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, განცხადების მიღების ბარათი (2 გვერდად)

თბილისი **16 მარტი, 2022 წ.**

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა - 38